ხელშეკრულება N28
ინტერნეტის მიწოდების მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 18 ოქტომბერი 2016 წელი

შპს „დელტა–ნეტი“, შემდგომში („დელტა–ნეტი“), წარმოდგენილი დირექტორის პაატა ქიქოძის სახით და შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური” შემდგომში („კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ყაზარაშვილის სახით, ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „დელტა–ნეტი“ „კომპანიას“ უწევს ინტერნეტის მიწოდების მომსახურებას.

1.2. ინტერნეტ მომსახურების სიჩქარე, ფასი რეგულირდება ამ ხელშეკრულების დანართებით.

1.3. ინტერნეტის სიჩქარისა ან/და ფასის, ან/და დანართ(ებ)ში განსაზღვრული სხვა მონაცემის ყოველი ცვლილებისას ფორმდება ახალი დანართი, რომელიც აუქმებს წინა დანართს.

1.3.1. კომპანიის მიერ დანართში მოცემული სიჩქარის ან/და ფასის, ან/და მიწოდების კონკრეტული წერტილის შეწყვეტა/გაუქმება/შემცირება განიხილება როგორც ხელშეკრულების პირობების დარღვევა და „დელტა-ნეტი“ უფლებამოსილია იმოქმედებს 4.3 მუხლით განსაზღვრული პირობებით.

2. ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. მომსახურების ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში 1.2. პუნქტის მიხედვით. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების ვადისა და მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების სხვა პირობების გათვალისწინებით და მათზე დაყრდნობით.

2.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება გაწეული მომსახურებების შესახებ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 11 რიცხვისა.

2.3. წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას საოქმო გადაწყვეტილების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხისა ან/და მომსახურების რა ნაწილს ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

2.4. 2.3 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ

მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს.

2.5. ყველა სხვა შემთხვევაში, ანგარიშსწორება იწარმოებს "დელტა–ნეტის" მიერ "კომპანიისადმი" წარდგენილი გაწეული მომსახურებების შესახებ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

2.6. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვისა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

2.7. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, "დელტა–ნეტი" უფლებამოსილია "კომპანიას" დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების ვადის დარღვევა გაგრძელდა 5 სამუშაო დღეზე მეტი ხნის ვადით, „დელტა–ნეტი" უფლებამოსილია შეუჩეროს „კომპანიას" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ინტერნეტის მიწოდების მომსახურება და მისცეს „კომპანიას" დამატებითი ერთკვირიანი ვადა ანგარისწორების (პირგასამტეხლოების ჩათვლით) ვალდებულების სრულად შესასრულებლად. ამასთანავე, მომსახურების ასეთი შეჩერება არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევას. თუ ასეთი დამატებითი ერთკვირიანი ვადის გასვლის შემდგომ ანგარისწორების (პირგასამტეხლოების ჩათვლით) ვალდებულება არ იქნება სრულად შესრულებული „კომპანიის" მიერ, „დელტა–ნეტი" უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინებით შეუწყვიტოს „კომპანიას" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ინტერნეტის მიწოდების მომსახურება და ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ხელშეკრულების ასეთი შეწყვეტის შემთხვევაში, „კომპანია" ვალდებულია შეწყვეტიდან ერთი კვირის ვადაში პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს „დელტა–ნეტს"თანხის ის ოდენობა, რასაც „დელტა–ნეტი" მიიღებდა „კომპანიისაგან" ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე.

2.8. „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს „მხარის" უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი „მხარის" მიმართ. პირგასამტეხლოს მიღების უფლება მეორე „მხარისათვის" მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას, დამრღვევი „მხარისათვის" წინასწარი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

2.9. ნებისმიერი მხარე უფლებემოსილია „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მისი ნებისმიერი უფლება/სანქციები, რომლებიც წარმოშობილია „კომპანიის" მხრიდან „ხელშეკრულების" დარღვევის შედეგად, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს როგორც ცალ–ცალკე, ასევე ერთობლივად.

3. ანგარიშსწორების პირობების დარღვევის სამართლებრივი შედეგები

3.1. "კომპანიის" მიერ "დელტა–ნეტის" წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, "დელტა–ნეტი" უფლებამოსილია გადახედოს წინამდებარე ხელშეკრულებას და მოითხოვოს მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

3.2. ფინანსური ვალდებულების დარღვევაში იგულისხმება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში "კომპანიის" მიერ "დელტა–ნეტისთვის" თანხის არ ან/და არასრულად გადახდა.

3.3. ცვლილებები შეეხება ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ პირობებს, მათ შორის, გაწეულ ან/და გასაწევ მომსახურებაზე თანხის გადახდის ვადებს და "კომპანიის" მიერ "დელტა–ნეტის" წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის საკითხებს.

3.4. თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება "დელტა–ნეტის" საბანკო ანგარიშზე.

3.5. 3.1 პუნქტში განსაზღვრული ფაქტის დადგომის შემთხვევაში "დელტა–ნეტი" უგზავნის "კომპანიას" წერილობით შეტყობინებას, რომელშიც აღწერილი იქნება ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებები.

3.6. "კომპანია" 3.5 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია წერილობით დაეთანხმოს ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას ან/და უარი განაცხადოს მათზე. "კომპანიის" მიერ წერილობით შეტყობინებაში დაფიქსირებული მოთხოვნების არ ან/და ნაწილობრივ გაზიარება ჩაითვლება ხელშეკრულების არსებით დარღვევად და ამავდროულად უარად ხელშეკრულებაზე. შესაბამისად, „დელტა-ნეტი" უფლებამოსილი იქნება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულება „კომპანიის" მხრიდან ხელშეკრულების არსებითი პირობის დარღვევის მიზეზით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 18 ოქტომბერს და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. თუ რომელიმე მხარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრებამდე 15 (თხუთმეტი) დღით ადრე წერილობითი ფორმით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება იგივე პირობებით და ვადით.

4.3. იმ შემთხვევაში თუ „კომპანია" მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას ვადაზე ადრე, გარდა 6.3.1. პუნქტში აღნიშნული შემთხვევებისა, „კომპანია" ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს „დელტა–ნეტს" თანხის ის ოდენობა, რასაც „დელტა–ნეტი" მიიღებდა „კომპანიისაგან" ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე.

5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1. „დელტა–ნეტი" უზრუნველყოფს „კომპანიას" ინტერნეტ მომსახურებით, რომლის მიწოდებაც ხორციელდება დანართ(ებ)ში მოცემული პირობებით:

5.2. იმ შემთხვევაში, თუ გაუფრთხილებლად შეწყდება ინტერნეტის მომსახურების მიწოდება „დელტა–ნეტის" ბრალეულობით 6 საათზე მეტი დროით, რაც არ იქნება განპირობებული „კომპანიის" დაუდევრობით ან ფორს-მაჟორით და ექსპლუატაციის შეწყვეტის ხანგრძლივობა აღემატება ექვს მიმდევრულ საათს, მომხმარებელი უფლებამოსილია მოითხოვოს გადასახადის კომპენსირება. კომპენსირების ზომა თითოეულ გათიშულ მომსახურების მიწოდებაზე გაითვლება შემდეგი ფორმულის თანახმად:

$$N=P*(T-6)/Tn$$

P არის დანართით განსაზღვრული ჯამური გადასახადი გათიშულ მომსახურებაზე, T არის მომსახურების გათიშვის ხანგრძლივობა (საათი), Tn არის საათების რაოდენობა შესაბამისი თვის განმავლობაში.
კომპანსირება განხორციელდება მორიგი გადასახადის პროპორციულად შემცირების გზით.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. „დელტა–ნეტს" შეუძლია ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ „კომპანიამ" დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებები. ამ შემთხვევაში „დელტა–ნეტი" წერილობით აცნობებს „კომპანიას" აღნიშნულის შესახებ და განუსაზღვრავს 15 (თხუთმეტი) დღიან ვადას დარღვევების აღმოსაფხვრელად. დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „დელტა–ნეტი" უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე „დელტა–ნეტი" აცნობებს „კომპანიას" ამის შესახებ და წინამდებარე ხელშეკრულება ჩაითვლება ძალადაკარგულად „კომპანიისთვის" წერილობითი შეტყობინების გაგზავნის დღიდან.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები:

6.3.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

6.3.2. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

6.3.3. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული ვადის გასვლა;

6.3.4. ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაცია;
6.3.5. ერთ-ერთი მხარის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება;
6.3.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

7. ფორს მაჟორი (დაუძლეველი ძალა)

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
7.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეუძლიათ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.
7.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.
7.4. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შერულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილიბით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

8. საკონტაქტო ინფორმაცია:

	დელტა–ნეტი	კომპანია
ცხელი ხაზი	+995 32 2193000 +995 32 2404040	
ელექტრონული ფოსტა	info@delta-net.ge	
კომერციული საკონტაქტო პირი	თეონა ხაჭაპურიძე	
ტელეფონის ნომერი	+995 32 2193000 *607	
მობილური	+995 577 588 381	
ელექტრონული ფოსტა	t.khachapuridze@delta-net.ge	
ხელმისაწვდომი	24/7	
ტექნიკური საკონტაქტო პირი	ნიკა გიორგაძე	
ტელეფონის ნომერი	+995 32 2193000 *667	
მობილური	+995 577 595 727	
ელექტრონული ფოსტა	nikagiorgadze@delta-net.ge	
ხელმისაწვდომი	24/7	

კომერციული საკონტაქტო პირი	ნანა რატიანი	
ტელეფონის ნომერი	+995 32 2193000 *606	
მობილური	+995 577 24 60 61	
ელექტრონული ფოსტა	n.ratiani@delta-net.ge	
ხელმისაწვდომი	24/7	

9. სხვადასხვა დებულებები

9.1. თითეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ორმხრივი კეთილი ნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთათვის მინიჭებული უფლებები და მოვალეობები არ შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ მესამე პირს ან შეიცვალოს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა როგორც მხარეებისათვის, ისე მათი უფლებამონაცვლეებისათვის.

9.4. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა სადავო საკითხი პირველ რიგში გადაწყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა, მათ შორის, დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების მოშლასთან, შეწყვეტისთან ან ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი იქნება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „დელტა–ნეტის“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიცემული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

9.5. ხელშეკრულების ცალკეული დებულებების ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების დანარჩენი დებულებების ბათილობას, თუ შესაძლებელია ხელშეკრულების საგნის მიღწევა. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობის შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან შეცვალონ ბათილი დებულება ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ხელშეკრულების მოქმედი მუხლების შინაარს.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულება აუქმებს მხარეებს შორის ამ საგანზე ადრე გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებას.

9.7. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ამ ხელშეკრულებასთან ერთად.

9.8. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცათ მხარეებს.

10. ჩასართავი ობიექტი

დასახელება	არხში მონაცემთა გადაცემის სიჩქარე და მიმართულება	ერთჯერადი გადასახადი ლარში დღგ-ს ჩათვლით	ყოველთვიური გადასახადი ლარში დღგ-ს ჩათვლით
ინტერნეტ მომსახურება – ქ. გორი, ქარის ელექტროსადგურის ქ. N1	გლობალი – 5 მბ/წმ ლოკალი - 5 მბ/წმ	700	350

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „დელტა–ნეტი“	შპს “ქართლის ქარის ელექტროსადგური’
ქ. თბილისი, გაფრინდაულის # 2 ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE03TB7244836070100001 საიდენტიფიკაციო კოდი 404398503	ქ. თბილისი , ბარათაშვილი N8, ბანკის კოდი: REPLGE22 ა/ა **GE11BR0000010061775786** საიდენტიფიკაციო კოდი 404957338
დირექტორი ---------- პაატა ქიქოძე	დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ---------- თორნიკე ყაზარაშვილი

დანართი №1

ქ. თბილისი

24 ოქტომბერი 2016 წელი

შპს "დელტა–ნეტს" (შემდგომში „დელტა–ნეტი") და შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური" (შემდგომში „კომპანია") მათ შორის 2016 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება N28-ის შესაბამისად „დელტა–ნეტი" უზრუნველყოფს ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას ოცდაოთხსაათიან რეჟიმში შემდეგ მისამართებზე და პირობებით:

დასახელება	არხში მონაცემთა გადაცემის სიჩქარე და მიმართულება	ჩართვის (ინსტალაციის) თარიღი	ერთჯერადი გადასახადი ლარში დღგ-ს ჩათვლით	ყოველთვიური გადასახადი ლარში დღგ-ს ჩათვლით
ინტერნეტ მომსახურება – ქ. გორი, ქარის ელექტროსადგურის ქ. N1	გლობალი – 5 მბ/წმ ლოკალი - 5 მბ/წმ	24.10.2016	700	350

მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, „კომპანია" დაწყებული ამ დანართის გაფორმების თარიღიდან გადაუხდის „დელტა–ნეტს" ერთჯერადად ჩართვის (ინსტალაციის) ღირებულებას 700 (შვიდასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით და ყოველთვიურად ანაზღაურების თანხას 350 (სამას ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „დელტა–ნეტი"

ქ. თბილისი, გაფრინდაულის # 2
ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE03TB7244836070100001
საიდენტიფიკაციო კოდი 404398503

დირექტორი

პაატა ქიქოძე

შპს "ქართლის ქარის ელექტროსადგური'

ქ. თბილისი , ბარათაშვილი N8,

ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა GE11BR0000010061775786
საიდენტიფიკაციო კოდი 404957338

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

თორნიკე ყაზარაშვილი